

სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები.....	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	15
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	21
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	22
6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	27
7. ძირითადი საშუალებები.....	29
8. არამატერიალური აქტივები.....	30
9. მარაგები	30
10. პროცენტური სესხები და ნასესხები სახსრები.....	31
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32
12. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან.....	32
13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება.....	32
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	33
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	33
16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	34
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)-ს აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებელთან (შპს Elbit Systems – Cyclone) აქვს სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 9,696 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (შენიშვნა 11) და მიღებული სესხები 16,230 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (შენიშვნა 10). ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სათანადო აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და მიღებული სესხების ნაშთების დასადასტურებლად და ძირითადი სახელშეკრულებო პირობების შესახებ (დაფარვის ვადები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები). მათ შორის, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სათანადო აუდიტორული მტკიცებულებები სასესხო ვალდებულების ნაწილის სესხად წარდგენის სისწორესთან დაკავშირებით, რაც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებულია, როგორც სესხი, ჯამური ღირებულებით 6,543 აშშ დოლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან, მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც მე-6 შენიშვნაშია მოცემული, კომპანიამ გადაიანგარიშა 2022 და 2023 წლების ფინანსური ანგარიშგება, კერძოდ კორექტირება გააკეთა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,861 ათასი აშშ დოლარის ოდენობით და გაუფასურების აღდგენა 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის 6,240 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება კომპანიის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებაზე და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის გაუფასურების აღდგენაზე. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირება გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები) გაუფასურებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და გაუფასურების აღდგენაზე 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ამ მიზეზით, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება მოდიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის და იმ ეთიკური ნორმების

შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე (მომზადების საფუძვლები - ფუნქციონირებადი საწარმო), სადაც აღწერილია ის გარემოებები, რაც მიუთითებს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის არსებობაზე და ხელმძღვანელობის გეგმებზე თუ როგორ აპირებს გადაჭრას ფინანსური სირთულეები და განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულ იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 2 დეკემბერს გასცა უარყოფითი მოსაზრება. ჩვენ, 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-6 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შეცდომების გასწორების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სწორი წარდგენის მიზნებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი კორექტირებები და რეკლასიფიკაციები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიას 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული შესწორებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.


ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს სამეთვალყურეო საბჭოსთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის #SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 ნოემბერი 2025 წელი

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023*	01.01.2023*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	28,793	30,181	27,155
არამატერიალური აქტივები	8	1,503	2,967	2,670
		<u>30,296</u>	<u>33,148</u>	<u>29,825</u>
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	9	5,877	2,832	1,993
ავანსად გადახდილი გადასახადები,		160	179	91
მოგების გადასახადის გარდა				
სავაჭრო მოთხოვნები		896	1,166	-
გადახდილი ავანსები		410	427	88
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში		122	277	345
		<u>7,465</u>	<u>4,881</u>	<u>2,517</u>
სულ აქტივები		<u>37,761</u>	<u>38,029</u>	<u>32,342</u>
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		60,000	60,000	60,000
დამატებითი მთლიანად				
ანაზღაურებული სააქციო		111	111	111
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(73,914)	(63,509)	(62,346)
სულ კაპიტალი		<u>(13,803)</u>	<u>(3,398)</u>	<u>(2,235)</u>
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტული სესხები და ნასესხები		26,583	-	-
სახსრები	10			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,560	1,560	1,560
		<u>28,143</u>	<u>1,560</u>	<u>1,560</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
პროცენტული სესხები და ნასესხები		7,092	29,107	28,571
სახსრები	10			
მიღებული ავანსები		7,037	4,701	499
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	9,292	6,059	3,947
		<u>23,421</u>	<u>39,867</u>	<u>33,017</u>
სულ ვალდებულებები		<u>51,564</u>	<u>41,427</u>	<u>34,577</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>37,761</u>	<u>38,029</u>	<u>32,342</u>

(*) - გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 6 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:



დამსრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ვლადისლავ თალალაი

მიხეილ ბეგიაშვილი

ეს ვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023*	01.01.2023*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	28,793	30,181	27,155
არამატერიალური აქტივები	8	1,503	2,967	2,670
		30,296	33,148	29,825
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	9	5,877	2,832	1,993
ავანსად გადახდილი გადასახადები,		160	179	91
მოგების გადასახადის გარდა				
სავაჭრო მოთხოვნები		896	1,166	-
გადახდილი ავანსები		410	427	88
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში		122	277	345
		7,465	4,881	2,517
სულ აქტივები		37,761	38,029	32,342
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		60,000	60,000	60,000
დამატებითი მთლიანად				
ანაზღაურებული სააქციო		111	111	111
კაპიტალი				
დაგროვილი ზარალი		(73,914)	(63,509)	(62,346)
სულ კაპიტალი		(13,803)	(3,398)	(2,235)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტები და ნასესხები		26,583	-	-
სახსრები	10			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,560	1,560	1,560
		28,143	1,560	1,560
მოკლევადიანი ვალდებულებები				
პროცენტები და ნასესხები		7,092	29,107	28,571
სახსრები	10			
მიღებული ავანსები		7,037	4,701	499
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	9,292	6,059	3,947
		23,421	39,867	33,017
სულ ვალდებულებები		51,564	41,427	34,577
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		37,761	38,029	32,342

(*) - გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 6 ნოემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ ვლადისლავ თალაღი

ფინანსური დირექტორი _____ მიხეილ ზეგიაშვილი

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული	12	9,387	4,476
ხელშეკრულებიდან			
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13	(7,970)	(4,100)
საერთო მოგება		1,417	376
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,941)	(2,065)
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების აღდგენა	7; 8	-	6,240
სხვა საოპერაციო ხარჯები		(950)	(1,690)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(2,474)	2,861
ფინანსური ხარჯი	10	(3,765)	(4,041)
საკუროს სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა		(83)	(18)
სხვა შემოსულობა		-	86
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	(51)
მთლიანი სრული ზარალი		(6,322)	(1,163)

(*) - გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას აშშ დოლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	დამატებით მთლიანად ანაზღაურებუ ლი სააქციო კაპიტალი	სულ
01.01.2023*	60,000	(62,346)	111	(2,235)
მთლიანი სრული ზარალი	-	(1,163)	-	(1,163)
31.12.2023*	60,000	(63,509)	111	(3,398)
მთლიანი სრული ზარალი	-	(6,322)	-	(6,322)
დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქცია (შენიშვნა 10)	-	(4,083)	-	(4,083)
31.12.2024	60,000	(73,914)	111	(13,803)

(*) - გადანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მთლიანი სრული ზარალი		(6,322)	(1,163)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	3,000	2,921
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების აღდგენა	7,8	-	(6,240)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		9	-
ფინანსური ხარჯი	10	3,765	4,041
ზარალი საკურსო სხვაობებიდან, წმინდა		83	-
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		535	(441)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			
ცვლილება მარაგებში		(3,045)	(839)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		270	(1,166)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში		3	(88)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		17	(339)
ცვლილება მიღებულ ავანსებში		2,336	4,202
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,170	2,112
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		3,286	3,441
მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტები	10	(919)	(1,321)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		2,367	2,120
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	7	(117)	(4)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		4	-
არამატერიალური აქტივები შესყიდვა	8	(44)	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(157)	(4)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:			
მიღებული სესხების დაფარვა	10	(2,361)	(2,184)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,361)	(2,184)
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		(151)	(68)
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში წლის დასაწყისში		277	345
ფულადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(4)	-
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში წლის ბოლოს		122	277

(*) - გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

1. კორპორაციული ინფორმაცია

სს აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი, საიდენტიფიკაციო კოდი: 404496121, (შემდგომში „კომპანია“), დაფუძნდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია მიხეილ გრიგორაშვილის ქ. №27, თბილისი, საქართველო.

კომპანია რეგისტრირებულია ნებადართული სააქციო კაპიტალით 60 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც 60 მილიონი ჩვეულებრივი აქციისგან შედგება, თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი. აქციები თანაბრად არის გადანაწილებული შემდეგ აქციონერებს შორის: ისრაელში რეგისტრირებული შპს „Elbit Systems - Cyclone“, საქართველოში რეგისტრირებული სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“) და საქართველოში რეგისტრირებული შპს „პროექტი“, რომელიც კონტროლდება მშობელი საწარმოს მიერ.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა სს „საქართველოს განვითარების ფონდი“, საქართველოს მთავრობის მფლობელობასა და მართვის ქვეშე მყოფი ორგანიზაცია.

კომპანია დაფუძნდა კონკრეტული მიზნით, სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიისთვის კომპოზიტური აერო კონსტრუქციის პროდუქტების საწარმოებლად და გასაყიდად. კომპანიამ დააფუძნა საწარმოო ობიექტი (შემდგომში „ქარხანა“) და 2019 წლის მაისისთვის მიიღო ყველა საჭირო ნოუ-ჰაუ, გაიარა საჭირო სერტიფიცირება და მიიღო ნებართვები კომპოზიტური აერო სტრუქტურის პროდუქტების საწარმოებლად. ქარხანა აშენდა „მომსახურების გენერალური ხელშეკრულების“ საფუძველზე, რომელიც გაფორმდა კომპანიებს სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები ციკლონი“ და შპს „Elbit Systems - Cyclone“ შორის. პროექტის მთლიანი ღირებულებაა 80 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც 15 მილიონი გამოიყო მშენებლობის მეორე ეტაპისთვის - 2020-2022 წლები. „მომსახურების გენერალური ხელშეკრულების“ მეორე ეტაპი გადავადდა და სრულად ვერ განხორციელდა პროექტით დადგენილ ვადებში.

წარმოებული აერო სტრუქტურის პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია დაწყდა 2019 წლის მაისიდან.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერებს აქვთ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების, ასევე მისი ცვლილების მოთხოვნის უფლება.

2. მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას აშშ დოლარში (რაც კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადდება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის საოპერაციო ამონაგები დიდად არის დამოკიდებული მისი აქციონერის - შპს „Elbit Systems - Cyclone“ შეკვეთების რაოდენობა, რომლის მოცულობაზეც, თავის მხრივ, მოქმედებს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიაში წარმოების მასშტაბები. შედეგად, ხელმძღვანელობა მომავალი სავაჭრო გეგმების გადახედვის და გადაკალიბრების მუდმივ პროცესშია, თუმცა, განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხის გამო, დღეისათვის შეუძლებელია გრძელვადიანი გეგმების დასახვა ნდობის საკმარისი ხარისხით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მიერ მიღებული მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 6,322 აშშ დოლარს (2023: 1,163 აშშ დოლარი). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები აჭარბებს მოკლევადიან აქტივებს 15,956 აშშ დოლარით (2023: 34,986 აშშ დოლარი). ასევე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარღვეულია ქართული კომერციულ ბანკთან არსებული სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები (იხილეთ მე-10 შენიშვნა).

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება მეტწილად ეყრდნობა აქციონერებისგან უწყვეტი მხარდაჭერის პირობებში არსებულ მოლოდინებსა და შემდეგ ფაქტორებს:

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ დაარღვია არსებული სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის ფარგლებში (იხილეთ მე-10 შენიშვნა). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გაფორმების თარიღის მდგომარეობით, ბანკს არ მოუთხოვია სესხების დაფარვის აჩქარება.

აღსანიშნავია, რომ ბანკმა 2022 წლის 31 მარტს შეცვალა ხელშეკრულება და არსებულ სესხის ხელშეკრულებას დაამატა შემდეგი პირობები:

(ა) საჭიროების და ლიკვიდურობის პრობლემების შემთხვევაში, კომპანია არ დაფარავს გრძელვადიან აქტივებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს შპს Elbit Systems - Cyclone“-ის მიმართ 1,560 აშშ დოლარის ოდენობით;

(ბ) კომპანიას არ ექნება უფლება დამოუკიდებლად ან მესამე პირის მეშვეობით შეამციროს (სრულად ან ნაწილობრივ) შპს Elbit Systems - Cyclone“-ის მიმართ არსებული ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ ამ ვალდებულების თანხა ნაკლებია 2,000 აშშ დოლარზე. ასევე შპს Elbit Systems - Cyclone არ ექნება უფლება მოითხოვოს კომპანიისგან აღნიშნული თანხის ნებისმიერი ფორმით გადახდა.

- კომპანიის საკრედიტო ხაზის გენერალური ხელშეკრულება ქართულ კომერციულ ბანკთან მოიცავს ვალდებულებას, რომლის საფუძველზეც, ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში კომპანიას არ აქვს უფლება გადაიხადოს ვალდებულებები მისი აქციონერების მიმართ, სანამ სრულად არ იქნება დაფარული სესხი ქართული კომერციული ბანკის მიმართ.
- შპს „Elbit Systems - Cyclone“-ის და სს „საქართველოს განვითარების ფონდი“-სგან მიღებული სესხების სახელშეკრულებო დაფარვის თავდაპირველი ვადა განსაზღვრული იყო 2023 წლის მაისი, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობამ აწარმოა მოლაპარაკებები თავის აქციონერებთან იმის თაობაზე, რომ ისინი არ მოითხოვდნენ ვალდებულებების დაფარვას კომპანიის მიერ ქართული კომერციული ბანკის სესხის სრულად დაფარვამდე - 2027 წლამდე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები შპს „Elbit Systems - Cyclone“ და სს „საქართველოს განვითარების ფონდი“-სგან კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, რადგან 2024 წლის 23 სექტემბერს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შპს „Elbit Systems - Cyclone“-ის და სს „საქართველოს განვითარების ფონდი“-ს სესხების ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხების დაფარვამდე გახანგრძლივების შესახებ, მაგრამ არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა.
- კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ისრაელში მიმდინარე ომთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით, არსებულ ვითარებასთან მიმართებით რაიმე პროექტის შეჩერების ან გადავადების შესახებ განხილვები არ ჩატარებულა. ამასთან კომპანია უკვე ყიდის მზა პროდუქციას პირდაპირ ზონიგზე და აგზავნის მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ, ისრაელში საომარი ვითარების ესკალაციის შემთხვევაში, კომპანია მზად არის დამოუკიდებლად განაგრძოს საოპერაციო საქმიანობა განჭვრეტად მომავალში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- კომპანიის ხელმძღვანელობა, აქციონერთან შპს „Elbit Systems - Cyclone“ ერთად მუდმივად მუშაობს კომპანიის საოპერაციო გეგმაზე მოკლედ და გრძელვადიანი პერიოდებისთვის. ზემოთ აღწერილი არსებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით, ამ გეგმის მიზანია კომპანიის ოპერაციების სტაბილურობის უზრუნველყოფა მოკლევადიან პერსპექტივაში. საბოლოო გეგმა უკვე განიხილეს აქციონერთა საბჭოს სხდომაზე 2024 წელს.
- კომპანიის გაყიდვების ბიუჯეტი 2025 წლისთვის ზრდით ხასიათდება 2024 წლის ფაქტობრივ რიცხვებთან შედარებით. 2025 წლის 9 თვის განმავლობაში კომპანიამ გაზარდა ამონაგები და მისმა გაყიდვებმა 9,321 აშშ დოლარი შეადგინა. ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ კომპანია განაგრძობს ამონაგების გაზრდას და განახორციელებს დაბეგვრამდე დადებითი შემოსავლის გენერირებას 2026 წლისთვის.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობებისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მიზანშეწონილია კომპანიისთვის და იგი მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ▶ ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ▶ ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ▶ ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ▶ ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- ▶ მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ▶ ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ▶ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- ▶ საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- ▶ საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- ▶ საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (აშშ დოლარი). უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული აშშ დოლარის სპოტ-კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული აშშ დოლარის სპოტ-კურსებით. ყველა სხვაობა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით. გაუფასურების რეზერვის ცვლილება აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, გრძელვადიანი აქტივებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივიგანაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს გარიგების საწყის ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში, რომელთა გამოყენება საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში შეზღუდულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ, კლასიფიცირდება როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების არსებით ნაწილს შეიძლება ძირითადი საშუალებებისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები ჰქონდეს. ამგვარი ნაწილები აღირიცხება ცალკე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	40
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-20
IT აღჭურვილობა	2-5
სხვა	2-5

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება თუ ამის საჭიროება არსებობს.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 10 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი

ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შერბუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შერბუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია წარმოების ნორმალურ პირობებში. კომპანია იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

საქონელი გზაში

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შესყიდული და გადაზიდვას დაქვემდებარებულია, თუმცა ჯერ არ არის მიწოდებული. საქონელზე რისკები და სარგებელი გადაცემულია კომპანიისათვის, მათი გადაზიდვის ადგილმდებარეობიდან.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგადახურვით.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის/მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს იღებს მზა პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილში, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან. კომპანია ზოგადად წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

კომპანია ზოგადად წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული სიტყვიერი/დოკუმენტური შეთანხმებებიდან, რომელიც წლის განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს მოლაპარაკებების საფუძველზე. კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხელშეკრულებების შესაბამისად, მომხმარებლები გადახდას ახორციელებენ შემენილ პროდუქციაზე პროდუქტის კონტროლის მიღებიდან 30-45 დღის ვადაში. კომპანიას არ აქვს ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც ანაზღაურების თანხა ცვლადი იქნება.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. მომსახურების გაწევის დროს წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება შესაბამისი შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთის და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ბ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

ქვემოთ აღწერილია ზოგიერთი მაჩვენებელი, რომელთა არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდა გაუფასურების ზარალს. ერთ-ერთი მათგანის არსებობის შემთხვევაშიც კი, საწარმო ახდენს ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას.

აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნების არსებობის დადგენისას, საწარმო ითვალისწინებს შემდეგ ნიშნებს:

ა) მოცემული პერიოდის განმავლობაში აქტივის ღირებულება მნიშვნელოვნად იმაზე მეტად შემცირდა, რაც მოსალოდნელი იქნებოდა დროის გასვლის ან ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად;

ბ) მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოზე, მოხდა მოცემულ პერიოდში, ან ახლო მომავალში მოხდება იმ ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნქციონირებს საწარმო, ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთვნილია აქტივი;

გ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ან ინვესტიციებზე უკუგების საბაზრო ნორმები მოცემულ პერიოდში გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ზრდა გავლენას მოახდენს აქტივის გამოყენების ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე და მნიშვნელოვნად შეამცირებს მოცემული აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას;

დ) საწარმოს ნეტო აქტივების საბალანსო ღირებულება მეტია მის საბაზრო კაპიტალიზაციაზე;

ე) არსებობს აქტივის მოძველების ან მისი ფიზიკური დაზიანების ნიშნები;

ვ) მოცემულ პერიოდში მოხდა ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოზე იმ თვალსაზრისით, რომ გავლენას მოახდენს აქტივის მიმდინარე ან შემდგომი გამოყენების ხარისხზე, ან მეთოდზე. აღნიშნულ ცვლილებებს განკუთვნილია აქტივის მოცდენა, იმ ქვედანაყოფის საქმიანობის შეწყვეტის ან რესტრუქტურისაციის გეგმები, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი და აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების გეგმა ადრე ნავარაუდევ თარიღზე ადრე და ადრე განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ კლასიფიცირებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ხელახლა შეფასება და კლასიფიცირება შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივად; და

ზ) შიდა ანგარიშგებიდან ჩანს მტკიცებულებები იმისა, რომ აქტივის გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლები მოსალოდნელზე უფრო მეტად გაუარესდა, ან მომავალში გაუარესდება;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

აქტივის შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლის არსებობა შესაძლოა მიუთითებდეს აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის, ცვეთის (ამორტიზაციის) მეთოდის ან აქტივის ნარჩენი ღირებულების გადასინჯვის საჭიროებასა და კორექტირებაზე, მოცემული აქტივის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, მაშინაც კი, როცა აქტივის გაუფასურების ზარალი აღიარებული არ არის.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფულადი სახსრების დისკონტირების ტექნიკის გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონის იერარქია, შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღს მდგომარეობით კომპანიამ შეაფასა აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება და აღიარა გაუფასურების ზარალი 0 აშშ დოლარი (2023 წელს, გაუფასურების აღდგენა: 6,240 აშშ დოლარი) ოდენობით, იხილეთ შენიშვნა 6,7,8.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო რისკი; საპროცენტო რისკი; უცხოური ვალუტის რისკი; ლიკვიდურობის რისკი.

ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტთან სესხებს და ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო მოთხოვნები და ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	896	1,166	-
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	122	277	345
	1,018	1,443	345
ფინანსური ვალდებულებები			
პროცენტის სესხები და ნასესხები სახსრები	33,675	29,107	28,571
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,852	7,619	5,507
	44,527	36,726	34,078

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებითი შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივის;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო.

საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორცაა სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ქართული კომერციული ბანკიგან მიღებული სესხების რეალური ღირებულება შეფასებულია მეორე დონის მიხედვით, ნაღდი ფულის ნაშთის ბანკში ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და სააქციო კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე,
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს აქციონერთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ნაღდი ფულის ნაშთიდან ბანკში.

კომპანიის ნაღდი ფულის ნაშთი ინახება ბანკებში გარე რეიტინგით BB-. ყველა ანგარიში მიმდინარეა და კომპანია თვლის, რომ არსებობს ზარალის მინიმალური რისკი.

რაც შეეხება სავაჭრო მოთხოვნებს ნაშთი სრულად წარმოდგენილია დედა კომპანიასთან არსებული მოთხოვნით, რომელიც გაუფასურებაზე შეფასებულია ინდივიდუალურად და წარმოდგენილია სრულად არაგაუფასურებულის კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	896	1,166	-
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	122	277	345
	1,018	1,443	345

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში. საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024		2023	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%- ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%- ით
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	322	(322)	276	(276)

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას აშშ დოლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	31.12.2024
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	896	-	-	896
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	87	35	-	122
ფინანსური ვალდებულებები				
პროცენტუანი სესხები და ნასესხები სახსრები	33,675	-	-	33,675
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,510	317	25	10,852
ღია საბალანსო პოზიცია	(43,202)	(282)	(25)	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	31.12.2023
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	1,166	-	-	1,166
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	273	3	1	277
ფინანსური ვალდებულებები				
პროცენტუანი სესხები და ნასესხები სახსრები	29,107	-	-	29,107
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,377	178	64	7,619
ღია საბალანსო პოზიცია	(35,045)	(175)	(63)	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	01.01.2023
ფინანსური აქტივები				
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	332	-	13	345
ფინანსური ვალდებულებები				
პროცენტუანი სესხები და ნასესხები სახსრები	28,571	-	-	28,571
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,304	193	10	5,507
ღია საბალანსო პოზიცია	(33,543)	(193)	3	

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების აშშ დოლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

სავალუტო რისკებისადმი მგრძნობელობა	31.12.2024		31.12.2023	
	+20%	-20%	+20%	-20%
ლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(56)	56	(35)	35
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(5)	5	(13)	13

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	31.12.2024
ფინანსური ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	3,095	37,626	40,721
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,792	4,060	10,852
	9,887	41,686	51,573

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	22,783	7,933	30,716
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,559	4,060	7,619
	26,342	11,993	38,335

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	01.01.2023
ფინანსური ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	20,162	10,717	30,879
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,447	4,060	5,507
	21,609	14,777	36,386

6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებებში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და სრულ შემოსავალს. კონკრეტულად, ხელმძღვანელობამ განახორციელა ცვლილებები შემდეგ საკითხებზე:

- კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩაატარა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ტესტირება, რომლის საფუძველზეც ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა - 29,825 აშშ დოლარი, შესაბამისად კომპანიამ აღიარა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ზარალი 7,860 აშშ დოლარის ოდენობით.
- კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩამოწერა დაუმთავრებელი მშენებლობა ჯამური საბალანსო ღირებულებით 2,723 აშშ დოლარი, ვინაიდან ვერ მოხერხდა აღნიშნული აქტივის იდენტიფიცირება და არსებობის დადასტურება შესაბამის დოკუმენტაციაზე და ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული ჩამოწერა განხორციელდა ფინანსური ანგარიშგებისთვის სანდოობისა და ზუსტი ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით.
- კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩაატარა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ტესტირება, რომლის საფუძველზეც აქტივების ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა - 37,480 აშშ დოლარი, შესაბამისად კომპანიამ აღიარა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ზარალის აღდგენა 6,240 აშშ დოლარის ოდენობით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 7.8.
- კომპანიამ მოახდინა ძველი პერიოდის გადასახადების გადაანგარიშება და დაკავშირებული მუხლების კორექტირება;
- კომპანიამ მოახდინა დამფუძნებლებისგან მიღებულ სესხებზე პროცენტის გადაანგარიშება და დაკავშირებული მუხლების კორექტირება;
- კომპანიამ მოახდინა დამფუძნებელთან არსებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეკლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად.

წინა პერიოდის შეცდომების გასწორების ეფექტი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირება	გადაანგარიშე ბული
ძირითადი საშუალებები	35,625	(8,470)	27,155
არამატერიალური აქტივები	4,464	(1,794)	2,670
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	179	(88)	91
გადახდილი ავანსები	250	(162)	88
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	26,554	2,017	28,571
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გრძელვადიანი)	-	1,560	1,560
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მოკლევადიანი)	5,507	(1,560)	3,947
დაგროვილი ზარალი	(49,815)	(12,531)	(62,346)

6. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება (გაგრძელება)

წინა პერიოდის შეცდომების გასწორების ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირება	გადაანგარიშე ბული
ძირითადი საშუალებები	32,903	(2,722)	30,181
არამატერიალური აქტივები	2,967	-	2,967
გადახდილი ავანსები	589	(162)	427
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	267	(88)	179
პროცენტები სესხები და ნასესხები სახსრები	26,109	2,998	29,107
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გრძელვადიანი)	-	1,560	1,560
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მოკლევადიანი)	7,619	(1,560)	6,059
დაგროვილი ზარალი	(57,539)	(5,970)	(63,509)

წინა პერიოდის შეცდომების გასწორების ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირება	გადაანგარიშე ბული
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,666)	601	(2,065)
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების აღდგენა	-	6,240	6,240
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,390)	700	(1,690)
ფინანსური ხარჯები	(3,061)	(980)	(4,041)

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას აშშ დოლარში)

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	IT აღჭურვილობა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება					
01.01.2023	15,222	21,093	5,730	1,521	43,566
შემოსვლა	-	-	3	1	4
31.12.2023	15,222	21,093	5,733	1,522	43,570
შემოსვლა	-	36	37	44	117
გასვლა	-	-	-	(13)	(13)
31.12.2024	15,222	21,129	5,770	1,553	43,674
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
01.01.2023	(4,196)	(6,554)	(5,032)	(629)	(16,411)
ცვეთა	(308)	(984)	(693)	(40)	(2,025)
გაუფასურების აღდგენა	2,497	2,303	2	245	5,047
31.12.2023	(2,007)	(5,235)	(5,723)	(424)	(13,389)
ცვეთა	(380)	(975)	(19)	(118)	(1,492)
გასვლა	-	-	-	-	-
31.12.2024	(2,387)	(6,210)	(5,742)	(542)	(14,881)
საბალანსო ღირებულება					
01.01.2023	11,026	14,539	698	892	27,155
31.12.2023	13,215	15,858	10	1,098	30,181
31.12.2024	12,835	14,919	28	1,011	28,793

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებულია ძირითადი საშუალებები ჯამური საბალანსო ღირებულებით 28,793 აშშ დოლარი, 30,181 აშშ დოლარი და 27,155 აშშ დოლარი, წლების შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ ბასს 36-ის მიხედვით გაანალიზა გაუფასურების მაჩვენებლები (გარე და შიდა) და დაასკვნა, რომ არსებობს გაუფასურებაზე ტესტირების ჩატარების აუცილებლობა, შედეგად კომპანიამ ჩატარა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურებაზე ტესტირება. ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, კომპანიამ 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ზარალი 7,860 აშშ დოლარის ოდენობით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული გაუფასურების ტესტირების საფუძველზე კომპანიის ბალანსზე არსებული გრძელვადიანი აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდა როგორც, 37,480 აშშ დოლარი, შესაბამისად პერიოდში სრულად აღსდგა გასულ პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი, გაუფასურების აღდგენის თანხამ შეადგინა 6,240 აშშ დოლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული გაუფასურების ტესტირებისას გამოყენებულია შემდეგი ძირითადი დაშვებები:

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება მოხდა აშშ დოლარში ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ათწლიან ფინანსურ ბიუჯეტზე დაყრდნობით გაანგარიშებული პროგნოზების საფუძველზე.
- შემდგომი ტერმინალური პერიოდი გამოყენებულია გაუფასურების ტესტირებისთვის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისთვის;
- დისკონტირების პროცენტი განისაზღვრა 19.4%-ით, საბაზრო მონაცემებზე დაყრდნობით;
- ტერმინალური პერიოდის ზრდის ტემპი განისაზღვრა ლარის გრძელვადიანი ინფლაციის მაჩვენებლით, 2.3%-ით

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული გაუფასურების ტესტირების საფუძველზე ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა 39,924 აშშ დოლარი, შესაბამისად არანაირი გაუფასურება/გაუფასურების აღდგენა არ არის აღრიცხული 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას აშშ დოლარში)

8. არამატერიალური აქტივები

	ნოუ-ჰაუს ლიცენზია	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება			
01.01.2023	15,000	-	15,000
შემოსვლა	-	-	-
31.12.2023	15,000	-	15,000
შემოსვლა	-	44	44
31.12.2024	15,000	44	15,044
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება			
01.01.2023	(12,330)	-	(12,330)
ამორტიზაცია	(896)	-	(896)
გაუფასურების აღდგენა*	1,193	-	1,193
31.12.2023	(12,033)	-	(12,033)
ამორტიზაცია	(1,504)	(4)	(1,508)
31.12.2024	(13,537)	(4)	(13,541)
საბალანსო ღირებულება			
01.01.2023	2,670	-	2,670
31.12.2023	2,967	-	2,967
31.12.2024	1,463	40	1,503

2015 წლის 23 ივლისს კომპანიამ შპს „Elbit Systems - Cyclone“-ს გადაუხადა 15 მილიონი აშშ დოლარი ერთჯერადი სალიცენზიო/ნოუ-ჰაუს საფასურის სახით, მომსახურების გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე. ლიცენზია უკავშირდება მშენებლობის და წარმოების ეტაპებზე ნოუ-ჰაუს გაზიარებას შპს „Elbit Systems - Cyclone“-ის მიერ.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივები სრულად ჩადებულია ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

(*) -დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 7.

9. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სახარჯი მასალები	3,424	1,514	1,182
ნედლეული	1,336	650	264
დაუმთავრებელი წარმოება	289	343	92
სხვა ინსტრუმენტები	343	219	313
მზა პროდუქცია	52	106	142
საქონელი გზაში*	433	-	-
	5,877	2,832	1,993

(*) – საქონელი გზაში წარმოადგენს მარაგებს, რომელთა დაკავშირებითაც კომპანიაზე გადმოცემულია ფლობის რისკი და სარგებელი, თუმცა 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მარაგები იმყოფება გზაში.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლების 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგები სრულად ჩადებულია ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

4,712 აშშ დოლარის (2023 წელი: 1,927 აშშ დოლარი) მარაგები (მე-12 შენიშვნა) აღიარებული იყო როგორც, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.

10. პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები

	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გრძელვადიანი				
შპს Elbit Systems Cyclone	ცვალებადი	16,230	-	-
სს საქართველოს განვითარების ფონდი	ცვალებადი	10,353	-	-
		26,583	-	-
მოკლევადიანი				
ქართული კომერციული ბანკი	ცვალებადი	7,092	9,446	11,626
შპს Elbit Systems Cyclone	ცვალებადი	-	12,006	10,359
სს საქართველოს განვითარების ფონდი	ცვალებადი	-	7,655	6,586
		7,092	29,107	28,571

საქართველოს კომერციული ბანკისგან მიღებულ სესხზე წლიური საპროცენტო განაკვეთი დადგენილია წლიურ 6 თვიან LIBOR-ის განაკვეთს დამატებული ფიქსირებული 6% პროცენტი, თუმცა მინიმალური საპროცენტო განაკვეთის ზღვარი არის 8.25%. რაც შეეხება დამფუძნებლებისგან მიღებულ სესხებს - წლიური საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის 25 იანვრამდე განსაზღვრული იყო, როგორც 6 თვიან LIBOR-ის განაკვეთს დამატებული ფიქსირებული 10.75%, ხოლო 2024 წლის 25 იანვრიდან მიღებულია წლიურ 6 თვიან SOFR-ის განაკვეთზე, რომელსაც ემატება ფიქსირებული 10.75% პროცენტი. პროცენტების ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ეფექტები დეტალურად განმარტებულია მე-5 შენიშვნაში.

კომპანიამ ქართული კომერციული ბანკისგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით უნდა დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შეზღუდვები, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს კოვენანტების მნიშვნელოვან ნაწილს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური გარემოებები, მათ შორის „ხელშეკრულების პირობების დარღვევა“, რომელიც თავის მხრივ ხელშეკრულების შეწყვეტის, მიღებული სესხის ნებისმიერი ნაწილის ან მთლიანი სესხის ძირისა და მასზე დარიცხული პროცენტის და სხვა გადასახდელების დაუყოვნებლივ მოთხოვნის მიზეზი შესაძლოა გახდეს. ამ გარემოების გამო, მიღებული სესხი მთლიანად, მათ შორის ის ნაწილი, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარდგენილი უნდა ყოფილიყო როგორც გრძელვადიანი ვალდებულება, 4,490 აშშ დოლარის, 7,047 აშშ დოლარის და 9,049 აშშ დოლარის საბალანსო ღირებულებით, წლების შესაბამისად, წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებებით, არამატერიალური აქტივებითა და მარაგებით. ასევე, ამავე სესხისთვის უზრუნველყოფაში ჩადებულია კომპანიის აქციონერების წილები და კომპანიის სამომავლო მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2024	2023
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	29,107	28,571
ფულადი ოპერაციები:		
სესხის ძირის დაფარვა	(2,361)	(2,184)
პროცენტის გადახდა	(919)	(1,321)
არაფულადი ოპერაციები:		
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	3,765	4,041
შეფასების ცვლილების ეფექტი*	4,083	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს	33,675	29,107

(*) - 2024 წლის 23 სექტემბერს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შპს „Elbit Systems - Cyclone“-ის და სს „საქართველოს განვითარების ფონდი“-ს სესხების ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხების დაფარვამდე გახანგრძლივების შესახებ, მაგრამ არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები ამორტიზებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით განახლებული გადახდის გრაფიკის საფუძველზე. შეფასების ცვლილებების ეფექტი აღიარებულია ფინანსური ანგარიშგების კაპიტალის ნაწილში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქცია.

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას აშშ დოლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გრძელვადიან ნაწილს წარმოადგენს გრძელვადიანი აქტივების შემოსვლიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შპს „Elbit Systems – Cyclone-ის მიმართ. მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოდგენილია სრულად სავაჭრო ვალდებულებებით.

12. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

კომპანია ფუნქციონირებს სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიისთვის კომპოზიტური აერო სტრუქტურული ნაწილების წარმოების სფეროში.

	2024	2023
ამონაგები ნაწილების გაყიდვიდან ნაწილი 41 (*)	3,605	1,635
ამონაგები ნაწილების გაყიდვიდან ნაწილი 47 (*)	2,280	848
ამონაგები განივი კოჭების გაყიდვიდან (*)	1,966	1,490
შემოსავალი საინჟინრო და პერსონალის მხარდამჭერი მომსახურებიდან	693	418
ამონაგები სხვადასხვა პროექტებისთვის ნაწილების გაყიდვიდან	843	85
	9,387	4,476

(*) - ნაწილი 41, ნაწილი 47 და განივი კოჭები განსხვავდება ბოინგი 787 Dreamline-ის ნაწილებისგან.

2024 და 2023 წლებში მთლიანი ამონაგები წარმოდგენილია კომპანიის აქციონერზე - შპს „Elbit Systems – Cyclone-ისგან მიღებული შემოსავლებით.

კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო ნაშთები:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო მოთხოვნები	896	1,166	-
მიღებული ავანსები	7,037	4,701	499

შემოსავლების ოდენობა, რომელიც აღიარებული იქნება მომავალში, როდესაც დაკმაყოფილდება დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
წლის დასაწყისში მიღებულ ავანსებში შესული თანხები	4,701	499

13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
მარაგების თვითღირებულება (მე-9 შენიშვნა)	(4,712)	(1,927)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,843)	(1,271)
კომუნალური ხარჯები	(399)	(316)
ცვეთა და ამორტიზაცია*	(496)	(290)
სხვა	(520)	(296)
	(7,970)	(4,100)

2024 და 2023 წლებში ქარხანას სრული სიმძლავრით არ უმუშავია. შესაბამისად, ზედნადები ხარჯი და ცვეთა სრულად არ გადანაწილდა წარმოების დანახარჯებზე დაბალი წარმოების ან მოცდენილი სიმძლავრის გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯი და ცვეთა 941 აშშ დოლარის (2023 წელი: 1,662 აშშ დოლარი) ოდენობით მიეკუთვნა სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიას კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ათას აშშ დოლარში)

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ცვეთის ხარჯი	(1,563)	(969)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(532)	(440)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(336)	(344)
სხვა	(510)	(312)
	(2,941)	(2,065)

აუდიტორის მომსახურებაზე დარიცხული ხარჯი 2024 და 2023 წლებისთვის არის 28 აშშ დოლარი და 40 აშშ დოლარი, წლების შესაბამისად.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიასა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სს „საქართველოს განვითარების ფონდი“	შპს „Elbit Systems - Cyclone“	„Elmet International SRL“
შესყიდვები	-	2,728	1,111
ამონაგები	-	9,397	-
სავაჭრო და სხვა	122	9,696	471
ვალდებულებები	-	7,037	-
მიღებული ავანსი	-	877	-
სავაჭრო მოთხოვნები	-	16,230	-
მიღებული სესხები	10,353	-	-

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები და ოპერაციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სს „საქართველოს განვითარების ფონდი“	შპს „Elbit Systems - Cyclone“	„Elmet International SRL“	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
შესყიდვები	-	2,091	230	46
ამონაგები	-	4,476	-	-
სავაჭრო და სხვა	116	7,005	118	4
ვალდებულებები	-	4,701	-	-
მიღებული ავანსი	-	1,261	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	-	12,006	-	-
მიღებული სესხები	7,655	-	-	-

15. დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები (გაგრძელება)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები და ოპერაციები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სს „საქართველოს განვითარების ფონდი“	შპს „Elbit Systems - Cyclone“	„Elmet International SRL“	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	99	5,147	6	4
მიღებული ავანსი	-	499	-	-
მიღებული სესხები	6,586	10,359	-	-

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

2023 და 2024 წლებში კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 7 ფიზიკური პირისგან შედგებოდა. 2024 წელს მთლიანმა ანაზღაურებამ, რომელიც ხელფასებს და პრემიებს მოიცავდა, 207 აშშ დოლარი (2023 წელი - 246 აშშ დოლარი) შეადგინა.

16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

იურიდიული საკითხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. ანარიცხი არ აღიარდება, ისეთ სადაო საგადასახადო საკითხებზე, რომლის დასაბეგრი თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

კოვენანტებთან შესაბამისობა

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია არღვევდა ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული ყველა სესხთან დაკავშირებულ ვალდებულებას. ასევე, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ მიუღია უარის წერილი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით, ბანკს არ უსარგებლია დაფარვის აჩქარების მოთხოვნის უფლებით. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანია ვერ აკმაყოფილებს კოვენანტების მნიშვნელოვან მოთხოვნებს, ხელშეკრულების პირობების თანახმად ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია გაცემული სესხის უკან მოთხოვნა, შედეგად მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი. იხილეთ შენიშვნა 10.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციები

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის (TP) კანონმდებლობა დიდწილად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია კონკრეტული მახასიათებლები. აღნიშნული კანონმდებლობა ითვალისწინებს კონტროლირებადი ოპერაციების დამატებითი გადასახადების შეფასების შესაძლებლობას (დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები და არადაკავშირებულ მხარეებს შორის გარკვეული ოპერაციები), თუ ასეთი ოპერაციები არ ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპის მიხედვით. ხელმძღვანელობამ დანერგა შიდა კონტროლი, რომელიც შესაბამისობაშია სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობასთან. კონტროლირებადი ოპერაციების შედეგად წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება მათი გარიგების რეალური ფასების საფუძველზე. ხელმძღვანელობის მიერ სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან. ხელმძღვანელობის სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების განსხვავებული ინტერპრეტაციის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. ამასთან, აღნიშნული შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და / ან საერთო ოპერაციების დონეზე.

მმართველობითი ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის კანონის შესაბამისად, ანგარიშგება და აუდიტი (მუხლი 7) ორგანიზაციას აქვს ვალდებულება მოამზადოს და წარუდგინოს მმართველობითი ანგარიშგება სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს, დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიშთან ერთად, არაუგვიანეს მომდევნო წლის საანგარიშგებო პერიოდის 1 ოქტომბრამდე. ორგანიზაციას აღნიშნული ვალდებულება არ აქვს შესრულებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გაცემის თარიღის მდგომარეობით.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე 0

მმართველობის ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები	4
2. კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკა:.....	6
3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:.....	7
4. საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:	9
5. გარემოს დაცვის საკითხები.....	9
6. განვითარების გეგმები	9
7. წარმოებული კვლევები.....	10
8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	11
9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	11
10. კორპორაციული მართვის ანგარიშგება.....	12

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)-ს დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს
მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით:

ჩვენ გამოვთქვით პირობითი მოსაზრება სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)-ს 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 6 ნოემბერს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ფინანსურ ანგარიშგებაში აუდიტორის დასკვნაში მოცემული პირობების შესაძლო ეფექტის გარდა გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ორგანიზაციის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.


სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიოს ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების, ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

10 ნოემბერი, 2025

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, სააქციო საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2015 წლის 19 ივნისს, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404496121, იურიდიული/ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ქვემო ალექსეევკის დასახლება, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა #27.

კომპანიის აქციონერები არიან:

- საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ (ყოფილი დასახელება სს „საპარტნიორო ფონდი“) (ს/კ:404404550) – 33.333333%
- შპს „პროექტი“ (ს/კ: 404489914) რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია და 100%-იანი წილის მესაკუთრეა სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ (ს/კ:404404550) – 33.333333%.
- Elbit Systems - cyclone LTD (Israel) (R/N:520033374) - 33.333333%, არის Elbit Systems - LTD (Israeli Inc Company R/N:5200432027) -ის შვილობილი კომპანია. ისრაელში ის სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: სამხედრო/თავდაცვის აეროხომალდების ნაწილები, მსხვილი სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილები და უსაფრთხოების სისტემები. ELBIT Systems დაარსდა 1967 წელს ისრაელში, მისი აქციები კოტირებულია „NASDAQ-ზე“ („ESLT“) და თელ-ავივის საფონდო ბირჟებზე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამოქალაქო თვითმფრინავებისთვის კომპოზიტური ნაწილების წარმოება. ქარხანამ ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის მაისში. კომპანია საბოლოო პროდუქტის ნედლეულად იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ კომპოზიტური მასალების მწარმოებელ ევროპული და ამერიკული კომპანიების ნედლეულს. რაც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქარხანა სრულად აღჭურვილია მსოფლიოში მოწინავე დანადგარებით და წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიით, უზრუნველყოფს საბოლოო პროდუქტის საერთაშორისოდ აღიარებულ მაღალ ხარისხს.

კომპანიას გავლილი აქვს შემდეგი კვალიფიკირების საკმაოდ რთული პროცესი და დღეს ფლობს შემდეგ სერტიფიკატებს:

- NADCAP – Composites
- NADCAP – NDI
- ISO – 9001:2015/AS9100D
- ISO – 14001:2015 / ISO 45001:2018
- BOEING Specific Qualifications – BAC5578, BAC5317(-2-4)

კომპანიამ საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან ერთად, Boeing-ის სერტიფიცირება გაიარა 2019 წელს და ამის შემდეგ დაიწყო სხვადასხვა კომპოზიტური ნაწილების წარმოება სწორედ ამ კომპანიისთვის. ორგანიზაცია ამჟამად აწარმოებს თვითმფრინავ Boeing 787 Dreamliner-ის და ნაწილებს.

აღსანიშნავია რომ კომპოზიტური ნაწილები მზადდება 787 Dreamliner-ისთვის, რომლის კონსტრუქციის 50%-ზე მეტიც (ფიუზელაჟი, ფრთები) სწორედ კომპოზიტური მასალებით არის წარმოებული. კომპოზიტური (ნახშირბადისა და პოლიმერული მასალების) ნაწილები სამოქალაქო ავიაციაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება. მათი სიმტკიცისა და გამძლეობის გამო თვითმფრინავების მწარმოებლები ფიუზელაჟის ელემენტების ტრადიციულ (ალუმინის) კომპონენტებს სულ უფრო მეტად კომპოზიტური მასალებით წარმოებული ელემენტებით ანაცვლებენ. ამ მეთოდით მიიღწევა თვითმფრინავის სიმსუბუქე, შესაბამისად მას შეუძლია განახორციელოს შორი დისტანციის ფრენები საწვავის ხარჯის დაახლოებით 30%-იანი ეკონომიით. სწორედ ამიტომ აღნიშნული მოდელის თვითმფრინავი მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვედ მსოფლიოში. Boeing-სთვის პროდუქტის მიწოდება ხდება შპს „ელბიტ სისტემს - ციკლონი-ის მეშვეობით.

თუმცა უახლოეს რამდენიმე წელში Boeing-ს ქონდა გარკვეული პრობლემები 787 Dreamliner-ის წარმოებაში. კერძოდ 2021 წლის შუა პერიოდიდან ტექნიკური მიზეზებით შეჩერდა Dreamliner-ის წარმოება და მხოლოდ 2022 წლის მეორე ნახევარში განაახლა წარმოება, თუმცა შემცირებული რაოდენობებით. თუ კი პანდემიის დაწყებამდე თვეში იწარმოებოდა 14 ერთეული აღნიშნული მოდელის თვითმფრინავი, წარმოების განახლების შემდეგ თვეში 1-2 თვითმფრინავს აწარმოებდა. 2023 წლის დასაწყისში წარმოება გაიზარდა თვეში 4 თვითმფრინავამდე. წარმოების მოცულობის ესეთ შემცირებაში თავისი დიდი წვლილი გლობალურმა პანდემიამაც შეიტანა. 2024 წელს ბოინგმა აღნიშნული თვითმფრინავების წარმოება გაზარდა თვეში 6 ერთეულამდე. ხოლო 2025 წელს დაგეგმილია 7 ერთეულამდე გაზრდა.

2024 წლის განმავლობაში სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ში დასაქმებული იყო საშუალოდ 156 თანამშრომელი (2023 წელს 122, 2022 წელს 118, 2021 წელს 134, ხოლო 2020 წელს 162).

კომპანიის თავდაპირველი გრძელვადიანი განვითარების გეგმა ითვალისწინებდა საწარმოო სიმძლავრეების სრულად ამუშავებას 2021 წელს და პერსონალის ზრდას 300 ადამიანამდე, შემდგომ პერიოდში ორგანიზაციის ზრდით. თუმცა გლობალურმა პანდემიამ (COVID 19) მნიშვნელოვანი კორექტირებები შეიტანა ამ გეგმაში, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო სამოქალაქო ავიაგადაზიდვების ბაზრის მნიშვნელოვანი შემცირებით. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების 99%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო დაახლოებით 50-მა მათგანმა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით წარმატებით გაიარა გრძელვადიანი ტრენინგები ისრაელში სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ მექანიკური ინჟინრები, მექანიკოსები, ოპერატორები, ხარისხის მართვა და სხვ.

გასათვალისწინებელია რომ გლობალური პანდემიით გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებს (იგულისხმება ავიაკომპანიების მხრიდან თვითმფრინავის შესყიდვებზე შეკვეთების გაუქმებამ, რაც საბოლოო ჯამში ჩვენს კომპანიაზე ასახება შეკვეთების შემცირებით) დროში წანაცვლებული ეფექტი ჰქონდა. ანუ მიუხედავად იმისა რომ პანდემია 2020 წელს დაიწყო, ავია ინდუსტრიაზე მისმა ნეგატიურმა გავლენამ პიკს 2022 წელს მიაღწია. სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ის შემთხვევაში ეს გამოიხატა გაყიდვების ყველაზე დაბალი დონით კომპანიის არსებობის განმავლობაში (2020 და 2021 წლებთან შედარებით).

მიუხედავად ზემოთ აღწერილი ნეგატიური მოვლენებისა, კომპანია მაინც აგრძელებს განვითარების ძირითადი (თავდაპირველი) ხაზის შენარჩუნებას, თუმცა გარკვეული კორექტირებით. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ წარმოების განვითარების ინტენსივობა დროში გადაიდგება (ანუ ისეთი სწრაფი არ იქნება როგორც თავდაპირველად იყო დაგეგმილი), თუმცა კომპანია უარს არ ამბობს თავდაპირველი განვითარების გეგმაზე.

კომპანიის განვითარების ეტაპებზე კარგად მეტყველებს ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც ასახავს გაყიდვებს წლების მიხედვით. როგორც ცხრილიდან ვხედავთ გაყიდვებში იყო მნიშვნელოვანი ჩავარდნა 2021-2023 წლებში, რაც გამოწვეული იყო გლობალური პანდემიით. მიუხედავად ამ ფაქტორისა გაყიდვებს აქვს პოზიტიური ტრენდი თუკი 2022-2024 წლიან პერიოდში შევხედავთ.

წელი	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
ფაქტიური / მოსალოდნელი	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	მოსალ.
გაყიდვები (USD-ში)	4,169,663	9,060,007	5,885,770	3,402,257	4,476,471	9,386,782	14,472,668
ცვლილება წინა წელთან	-	117%	(35%)	(42%)	32%	110%	54%

- ციფრები მოცემულია აშშ დოლარში, რადგან კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას სწორედ დოლარი წარმოადგენს (მასში ხდება გაყიდვები და ძირითადი ნედლეულის შეძენა).
- 2024 წელს გაყიდვები გაორმაგდა 2023 წელთან შედარებით.
- 2025 წლის გაყიდვების მონაცემი დაფუძნებულია პირველი სამი კვარტლის ფაქტიურ მონაცემსა და მე-4 კვარტლის პროგნოზზე და 54%-იან ზრდას ითვალისწინებს 2024 წელთან შედარებით.

2. კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკა:

ჩვენი საქმიანობის ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა, ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვა სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა. ჩვენი პოლიტიკაა დავიცვათ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება ჩვენი გლობალური საქმიანობის ფართო სპექტრისთვის. ამისათვის შევიმუშავეთ კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკა (Compliance Policy) და ასევე ჩვენს კომპანიაში დასაქმებული გვყავს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ოფიცერი (Compliance Officer), რომელიც მეთვალყურეობს ქვემოთ მითითებულ სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები(ციკლონი)“-ის მიერ დამტკიცებულ შემდეგ პრინციპებს/პროცედურებს:

ბიზნეს ქცევის და ეთიკის კოდექსი

ჩვენი საქმიანობის წარმართვა ეთიკურად და საუკეთესო პრაქტიკებისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია ჩვენი წარმატებისთვის. კომპანიის საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ პრაქტიკებსა და სამართლებრივ მოთხოვნებთან.

ინფორმაციის მიწოდების და გამოძიების პროცედურები

როგორც ჩვენი ბიზნეს ეთიკის პოლიტიკის ნაწილი, ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენი პოლიტიკის სავარაუდო დარღვევების, არასათანადო ქცევის და სამართლებრივი შეუსრულებლობის შესახებ მოხსენებას. ჩვენ მსგავს მოხსენებებს სერიოზულად ვუდგებით, ვიძიებთ მათ დაუყოვნებლივ და დისკრეციულად, და ჩვენ არ ვართ ტოლერანტულები შურისძიებისადმი იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც კეთილსინდისიერად გააკეთეს მოხსენება.

ქრთამის და კორუფციის პოლიტიკა

ჩვენი საქმიანობის საერთაშორისო ხასიათი და საბოლოო მომხმარებლები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოითხოვს, რომ დავიცვათ ქრთამის და კორუფციის პოლიტიკასთან შესაბამისობის სტანდარტები. ჩვენ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ, ხოლო ჩვენი თანამშრომლები, ოფიცრები და დირექტორები ვალდებული არიან განახორციელონ ჩვენი საქმიანობა ქრთამის და კორუფციის პოლიტიკასთან შესაბამისობის პრაქტიკის შესაბამისად.

ქრთამისა და კორუფციის შესაბამისობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია სათანადოდ შესწავლა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ იმ შესამე პირების მიმართ, რომლებთანაც ჩვენ არ ვმუშაობთ.

ჩვენი ქრთამისა და კორუფციის შესაბამისობის პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, ისევე როგორც შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პოლიტიკისა, არის გზა, რომლითაც ჩვენ ვაწვდით და ვიღებთ ბიზნეს გართობას, სტუმართმოყვარეობას და საჩუქრებს.

მომწოდებლის ქცევის კოდექსი

ჩვენ ველით, რომ ჩვენი მომწოდებელთა ქსელი ჩვენთან საქმიანობის ყველა ასპექტში აკმაყოფილებს ჩვენს ეთიკურ სტანდარტებს.

ჩვენი მოლოდინი დაფუძნებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- კომპანიას გააჩნია შესაბამისი პოლიტიკა, რომლითაც ხორციელდება მომწოდებლების შერჩევის პროცესი. შესაბამისად ჩვენ არ ვთანამშრომლობთ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ ამ პოლიტიკით განსაზღვრულ ნორმებს.
- წარმოების პროცესში გამოყენებული ძირითადი მასალების მომწოდებლები წარმოადგენენ მსოფლიოსთვის კარგად ნაცნობ კომპანიებს, რომელთაც ამ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი ისტორია გააჩნიათ. ეს მომწოდებლები კარგადაა ნაცნობი ჩვენი საბოლოო კლიენტის, Boeing-ისათვის და დამფუძნებელი Elbit Systems - cyclone LTD-ისთვისაც.

3. საკმინაობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

ქვემოთა ცხრილში მოცემულია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ბოლო 5 წლის განმავლობაში:

(თანხები მოცემულია აშშ დოლარში)

	2024	2023	2022	2021	2020	2019
ამონაგები	9,386,782	4,476,000	3,402,257	5,885,770	9,060,007	4,169,663
რეალიზებული პროდუქციის თვით.	(7,970,392)	(4,100,000)	(3,493,624)	(4,979,121)	(5,663,242)	(3,048,410)
მთლიანი მოგება	1,416,390	376,000	(91,367)	906,649	3,396,765	1,121,253
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,941,265)	(2,065,000)	(2,812,108)	(2,589,690)	(3,124,154)	(6,850,524)
აქტივების გაუფასურების აღდგენა	-	6,240,000	-	-	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(950,332)	(1,690,000)	(2,358,207)	(2,426,189)	(2,386,304)	(2,812,301)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(2,475,207)	2,861,000	(5,261,682)	(4,109,230)	(2,113,693)	(8,541,572)
ფინანსური ხარჯები და გადაფასებები	(3,764,788)	(4,040,871)	(2,465,990)	(2,160,757)	(2,193,065)	(1,540,563)
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(82,729)	15,776	51,029	104,849	52,762	(25,468)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახ.	(6,322,724)	(1,164,095)	(7,676,643)	(6,165,138)	(4,253,996)	(10,107,603)
მოგების გადასახადი	-	-	-	-	-	-
მოგება/(ზარალი)	(6,322,724)	(1,164,095)	(7,676,643)	(6,165,138)	(4,253,996)	(10,107,603)

- გამომდინარე იქედან რომ კომპანიის გაყიდვები მთლიანად აშშ დოლარშია ფორმირებული (მხოლოდ ექსპორტი) და ასევე ძირითადი ნედლეულის შესყიდვები, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს დოლარი. სწორედ ამიტომ უპრიანია კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებს სწორედ ამ ვალუტაში შევხედოთ.
- ცვთა დაყოფილია სამ ნაწილად და გადანაწილებულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასა (ძირითადად დანადგარების ცვთა) და ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებზე.
 - 2018 წელი** - მიმდინარეობდა პროდუქციის სერტიფიცირება თვითმფრინავების მწარმოებელი კომპანია Boeing-ის მიერ, ამიტომ 2018 წელს ორგანიზაციის ამონაგები არ მიუღია.
 - 2019 წელი** - კომპანიამ დაიწყო მასიური პროდუქციის წარმოება (და შესაბამისად რეალიზაცია). საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს სპეციალურ სერტიფიცირებას (NADCAP), რომლის ხარჯი 3,500,000 აშშ დოლარს შეადგენდა. ეს სერტიფიცირება მოთხოვნილია Boeing-ის მიერ, ასევე იგი კომპანიას საშუალებას აძლევს წარმოებული პროდუქცია თვითმფრინავის მწარმოებელ სხვა მსოფლიოში ცნობილ კომპანიებსაც მიყიდოს (Airbus, Bombardier).
 - 2020 წელი** - კომპანიამ შემდგომ რეალიზაციის მნიშვნელოვნად გაზარდა, რაც განპირობებული იყო მასიურ წარმოებაზე სრულად გადასვლით და ასევე ახალი პროექტის დაწყებით (D640, Intercostals), ეს წელი კომპანიამ ზარალით დაასრულა რაც მოსალოდნელი იყო რადგან მიუხედავად გაყიდვების ზრდისა, ეს მაჩვენებელი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დაგეგმილ ბიუჯეტს. ასეთი დონის რეალიზაცია ვერ უზრუნველყოფს ხარჯების სრულად დაფარვას. რეალიზაციის ზრდის შეფერხება კი თავის მხრივ გამოწვეული იყო გლობალური პანდემიით (COVID-19), რაც 2020 წლის მეორე კვარტლიდან მყისიერად აისახა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.
 - 2021 წელი** - პანდემიის გავლენა კომპანიის შემოსავლებზე კიდევ უფრო ნეგატიურად აისახა, რაც გამოწვეული იყო ერთი მხრივ Boeing-ის მიერ თვითმფრინავების წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირებით, ხოლო მეორეს მხრივ 787 Dreamliner-თან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემებით (Boeing-მა 2021 წლის მესამე კვარტლიდან ამ მოდელის წარმოება საერთოდ შეაჩერა და მხოლოდ 2022 წლის აგვისტოში განაახლა მომხმარებლებისთვის ამ თვითმფრინავების მიწოდება, ისიც მცირე რაოდენობით, 2 ერთეული თვეში (მაშინ როცა პანდემიამდე პერიოდში თვეში 14

ერთეულის მიწოდება ხდებოდა ავიაკომპანიებისთვის). ყოველივე ამან გამოიწვია კომპანიის შემოსავლების 35%-იანი კლება წინა (2020) წელთან შედარებით.

რა თქმა უნდა ესეთი შემცირებული რეალიზაცია წლის განმავლობაში გაწეულ ხარჯებს ვერ დაფარავდა, შესაბამისად კომპანიამ წელი ზარალით დაასრულა. თუმცა აღსანიშნავია რომ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის მხრივ მენეჯმენტის გადამგეგმვლა ნაბიჯებმა უზრუნველყო ხარჯების მაქსიმალური შემცირება.

- **2022 წელი** - როგორც ზემოთ იყო აღნიშნული გლობალური პანდემიით გამოწვეული ნეგატიური გავლენა ავია ინდუსტრიაზე ყველაზე მძლავრი ამ წელს აღმოჩნდა, რაც პირდაპირ აისახა კომპანიის გაყიდვებზე. საქმე იმაშია რომ როცა პანდემია დაიწყო (2020 წელს) ავია მწარმოებლებს (ამ შემთხვევაში Boeing-ს) ჯერ კიდევ ჰქონდა მიღებული შეკვეთები ავიაკომპანიების მხრიდან თვითმფრინავების შესყიდვებზე, შესაბამისად ისინი განაგრძობდნენ მუშაობას (თვითმფრინავების აწეობას) რადგან აწეობის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და მოდელის მიხედვით შეიძლება 1.5 წელი დასჭირდეს (დაწყებიდან დაბოლოო აწეობამდე, როცა თვითმფრინავი საფრენად მზად არის). თვითმფრინავის აწეობის გრძელი საწარმოო ციკლიდან გამომდინარე, პანდემიამ ავია მშენებლობის ინდუსტრიაზე ყველაზე დიდი გავლენა 2022 წელზე იქონია, როცა მოხდა ორი ფაქტორის შერწყმა:

- ავიაკომპანიებმა 2020-2021 წლებში დაიწყეს მწარმოებლებთან განთავსებული არსებული შეკვეთების გაუქმება, რამაც ყველაზე დიდი უარყოფითი ეფექტი 2022 წელზე იქონია.
- ასევე არ ათავსებდნენ ახალ (მომავალზე) გათვლილ შეკვეთებს.

შესაბამისად ავია ბაზარი მნიშვნელოვნად დაეცა. აღნიშნულმა ცვლილებამ ბაზარზე გამოიწვია ის რომ სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)-ის გაყიდვები კომპანიის არსებობის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა. რა თქმა უნდა ესეთი დონის გაყიდვები შემოსავლებს ვერ დაფარავდა, რაც გახდა კიდევ ზარალიანი წლის საფუძველი.

- **2023 წელი** - ავია ინდუსტრიის ბაზარმა დაიწყო გამოცოცხლება. აღნიშნული დიდ წილად განპირობებული იყო იმით რომ მსოფლიო (და მათ შორის ავიაკომპანიები) საბოლოოდ დარწმუნდნენ რომ გლობალური პანდემია საბოლოოდ დასრულდა, რასაც თავის მხრივ მოყვა ავია გადაზიდვებზე მოთხოვნის გაზრდა და ავია კომპანიების მხრიდან ახალ თვითმფრინავებზე შეკვეთების განთავსება.

ამ წელს სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)-ის გაყიდვების სტრუქტურაში უფრო მეტი ადგილი დაიკავა ე.წ. ანაწეობმა (Assembly) ნაწილებმა რომლის დამზადებაც უფრო რთული და კომპლექსურია ვიდრე ჩვეულებრივი ნაწილებისა. ამავე წელს უფრო მეტ გაყიდვებს ველოდით (ვიდრე ფაქტობრივად შედეგი მივიღეთ), თუმცა გარკვეულმა ფაქტორებმა (მათ შორის ისრაელში დამაბუღებელმა სიტუაციამ, რომელმაც განაპირობა ახლო აღმოსავლეთში ახალი კონფლიქტური კერის წარმოქმნა) ხელი შეუშალა ამ გეგმების რეალიზებას.

მიუხედავად იმისა რომ კომპანიამ მოახერხა წინა წელთან შედარებით გაყიდვები 1/3-ით (32%) გაეზარდა, საბოლოო შედეგი (წმინდა მოგება) დიდად არ განსხვავდება წინა წლისგან. ეს კი თავის მხრივ განპირობებულია იმით რომ ანაწეობი ნაწილების წარმოებაში პირდაპირი მასალის წილი უფრო მეტია ვიდრე ჩვეულებრივი ნაწილებისა და ასევე ხარჯების (ხელფასები) ზრდამ რაც მომავალ წლის გაყიდვების ზრდისთვის მზადებისთვის იყოს საჭირო (როგორც ზემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი 2024 წელს კომპანიის გაყიდვების სერიოზული ზრდა ჰქონდა).

2024 წელი - კომპანიისათვის შეგვიძლია ვთქვათ რომ წარმატებული იყო. გაყიდვების გაორმაგების გარდა, კომპანიამ გააუმჯობესა ფინანსური მაჩვენებლებიც. ბოლო პერიოდის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა დადებითი EBITDA (თუ არ ჩავთვლით 2023 წელს, როდესაც დადებითი EBITDA დაფიქსირდა გაუფასურების აღდგენის ხარჯზე)

4. საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

წელი	2024	2023	2022	2021	2020	2019	2018
თანამშრომელთა რაოდენობა წლის ბოლოს	160	138	114	120	167	165	70
Boeing-ის მიერ სერტიფიცირებული ნაწილების რაოდ.	420	410	398	330	325	240	0

➤ თანამშრომელთა რაოდენობა.

2020-დან დაწყებული 2021 წლის ჩათვლით: გლობალური პანდემიისგან გამოწვეულმა გაყიდვების შემცირებამ გამოიწვია ხარჯების ოპტიმიზაციის აუცილებლობა, რაც მათ შორის გამოიხატა თანამშრომლების რაოდენობის შემცირებაშიც. გაყიდვების 35%-იანი შემცირების ფონზე (წინა წელთან შედარებით), თანამშრომლების რაოდენობა 28%-ით შემცირდა. კომპანიაში განხორციელდა რესტრუქტურისაციის პროცესი და თანამშრომელთა რაოდენობის ოპტიმიზაცია, რათა ზარალის მინიმიზირება მომხდარიყო.

რესტრუქტურისაციის პროცესში კომპანია შეეცადა მაქსიმალურად მომხდარიყო მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნება, რაც გაგრძელდა 2022 წელსაც.

2023 წელს მოხდა საკადრო რესურსის გაზრდა, რაც განპირობებული იყო ორი ფაქტორით: 1) კომპანია ამავე წელს მეტ გაყიდვებს ელოდა (ვიდრე ფაქტიური შედეგით დადგა). 2) 2024 წელს დაიგეგმა წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც შესაბამისი საკადრო რესურსი ესაჭიროებოდა.

2024 წლის ბოლოსთვის 16%-ით გაიზარდა თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 2023 წელთან შედარებით.

➤ Boeing-ის მიერ სერტიფიცირებული ნაწილების რაოდენობა.

კომპანიის ერთადერთი საბოლოო მომხმარებელი ამ ეტაპზე არის Boeing, შესაბამისად მისი სერტიფიცირების გარეშე წარმოებული პროდუქციის რეალიზება შეუძლებელია.

2023 წელს კომპანიამ მოიპოვა დამატებით ანაკრების (Assembly) წარმოების უფლება, რამაც გაზარდა სერტიფიცირებული ნაწილების რაოდენობა.

5. გარემოს დაცვის საკითხები

კომპანიის მუშაობა გარემოს დაცვის მიმართულებით დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების მიხედვით და გაწერილი აქვს შესაბამისი გარემოს დაცვის პოლიტიკა, რომელშიც ასევე ნაგულისხმევია საერთაშორისო სტანდარტები რაც წარმოჩენილია „ISO 14001” სერტიფიკატით.

6. განვითარების გეგმები

2020 წელს დაწყებულმა გლობალურმა პანდემიამ (COVID-19) მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი კომპანიის განვითარებას და თავდაპირველი გეგმის მიყოლას, რომელიც მნიშვნელოვან ზრდას ითვალისწინებდა. საქმე იმაშია რომ 2019 წელს კომპანიამ უზრუნველყო წარმოებაში ჩასაშვები დეტალების სერტიფიცირება ამერიკული თვითმფრინავების მწარმოებელი კონცერნ Boeing-ის მიერ (ამ პროცესის გარეშე წარმოებული დეტალების გაყიდვა შეუძლებელია), რაც წინაპირობას ქმნიდა, რომ შემდეგ წელს (ანუ 2020-ში) მაღალი რეალიზაცია განხორციელდებინა. აღნიშნული კი კომპანიამ თითქმის ნულოვანი მოგების წერტილზე გაიყვანდა, ხოლო 2021 წელს კომპანია მოგებით დაასრულებდა.

სამწუხაროდ, პანდემიამ საკმაოდ დიდი დარტყმა მიაყენა ავია-ინდუსტრიას და ავია-გადაზიდვებს, რამაც გამოიწვია ავიაკომპანიების მიერ ფრენების შემცირება, რაც თავის მხრივ გახდა მათი მხრიდან ახალი თვითმფრინავების შესყიდვების შეჩერების (გადადების) ფაქტორი. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია თვითმფრინავის მწარმოებელი კომპანიების (მათ შორის Boeing ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა ამ სექტორში) მიერ შეკვეთების შემცირება თვითმფრინავის ნაწილებზე.

მიუხედავად ამ ნეგატიური გლობალური მოვლენებისა სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები(ციკლონი)“-მა შეძლო ბიზნესის უწყვეტობის ციკლის უზრუნველყოფა და არც ერთი დღით არ შეუჩერებია თავისი საქმიანობა. კომპანიამ განახორციელა ადაპტაცია არსებულ სიტუაციასთან და ხარჯების ნაწილის შემცირება, რათა შეენარჩუნებინა ქმედითობა.

რაც შეეხება მომავალი განვითარების გეგმებს:

- ❖ პირველ რიგში აღსანიშნავია კომპანიის დამფუძნებლების მხარდაჭერა, რომლებიც უშუალოდ საქმის კურსში არიან მიმდინარე პროცესებში და ფინანსურად მხარში უდგანან მას. გასათვალისწინებელია რომ Elbit Systems (რომლის შვილობილი კომპანიაა სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ის უშუალო დამფუძნებელია) ერთ-ერთ უმსხვილეს ებრაულ კონცერნს წარმოადგენს, რომელსაც მრავალ პროფილური საქმიანობა და დივერსიფიცირებული შემოსავლები აქვს, შესაბამისად მასზე ნაკლებად მოახდინა გავლენა გლობალური პანდემიით გამოწვეულმა მოვლენებმა. აღსანიშნავია რომ ამ ფაქტორის გათვალისწინებით კომპანიას არ შექმნია რაიმე ისეთი სახის დაბრკოლება რომელიც მის საქმიანობას შეაფერხებდა და ბიზნეს უწყვეტობის ციკლი არ დარღვეულა.
- ❖ რაც შეეხება ავია-გადაზიდვების ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს - პოზიტიური ძვრები 2022 წელს დაიწყო (რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო გაზრდილი მოთხოვნით მგზავრთა გადაყვანაზე). თუმცა ამ ფაქტორმა პირდაპირი ასახვა არ პოვა თვითმფრინავების წარმოების ინდუსტრიაზე, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პანდემიით გამოწვეულ კრიზისს დროში წანაცვლებული ეფექტი ქონდა. 2023 წელი ცალსახად პოზიტიური იყო ინდუსტრიისთვის, რაც გამოიხატა ავიაკომპანიების მხრიდან თვითმფრინავების შესყიდვაზე გაზრდილი მოთხოვნით. 2024 წელს კი აღნიშნულმა მოვლენამ უკვე გავლენა სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ის გაყიდვებზეც ჰქონდა ასახვა (როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს გაყიდვები წინა (2023) წელთან შედარებით 110%-ით გაიზარდა (ანუ 2-ჯერ მეტად).
- ❖ 2025 წელს კომპანია 14 მილიონზე (აშშ დოლარში) მეტ გაყიდვებს გეგმავს, რაც არსებული შეკვეთების ფონზე რეალისტურად გამოიყურება. აღნიშნული კი 2024 წლის მოსალოდნელ გაყიდვებთან შედარებით 50%-იანი მატებაა. ნავარაუდევია რომ 2026 წელს კომპანიას ასევე ექნება მნიშვნელოვანი ზრდა გაყიდვებში (2025-თან შედარებით), რაც შეესაბამება ჩვენს წინა წლების ხედვას რომ 2026-დან 2028 წლის პერიოდში გაყიდვები პიკს მიაღწევს. ასეთი ზრდის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის საერთაშორისო კვლევები რომელიც პერიოდულად ქვეყნდება სხვადასხვა ეკონომიკურ გამოცემებში და უშუალო შეკვეთების დინამიკა (Boeing-ის მხრიდან). ეს ყველაფერი კი ხდება იმის ფონზე, რომ თვითონ კორპორაცია Boeing-ს ჰქონდა გარკვეული პრობლემები 2024 წელს (ორგანიზაციული და ტექნიკური), რამაც გამოიწვია კონცერნის ხელმძღვანელობის ცვლილება. მოსალოდნელია რომ აღნიშნული ცვლილება პოზიტიურ გავლენას იქონიებს მის საქმიანობაზე მომდევნო წლებში.
- ❖ აღნიშნული განაპირობებს სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები(ციკლონი)“-ს განვითარების სტრატეგიასაც. კომპანიამ 2022-2023 წლებში გადაიარა ხარჯების ოპტიმიზაციის პერიოდი, ხოლო 2024 წლიდან დაიწყო ზრდის ფაზა.

კომპანიის სამომავლო გეგმებში არის ახალი პროექტების განხორციელება, რაც ითვალისწინებს, როგორც კომპოზიტის ნაწილების წარმოების გაფართოებას, ასევე მეტალისა და სამწყობო მიმართულების გაზრდას.

7. წარმოებული კვლევები

კომპანია ამ ეტაპისთვის არ საჭიროებდა და არ უწარმოებია მნიშვნელოვანი კვლევები, რადგან ჰყავს გარანტირებული მყიდველი მსოფლიოში აღიარებული კორპორაცია Boeing-ის სახით. აღნიშნული კვლევებით და ახალი მომხმარებლების მოძიებით დაკავებულია კომპანიის აქციონერი Elbit Systems - cyclone LTD, რასაც პერიოდულად უზიარებს შვილობილ კომპანიას.

8. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

კომპანიას შემუშავებული და დანერგილი აქვს ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე რისკების მართვის მექანიზმები, კონკრეტულად:

- საკრედიტო რისკი - 2019 წელს განხორციელდა სესხის აღება ადგილობრივი ბანკისგან, რითაც სრულად გადაწყდა კომპანიის საკრედიტო რესურსების საჭიროების საკითხი. ამავე დროს განხორციელდა საბანკო გარანტიების ხაზის გახსნა, რაც კომპანიის მიერ გამოიყენება ძირითადი ნედლეულის დროებითი გადამუშავების რეჟიმით შემოსატანად (საბაჟოზე წარსადგენად).
გლობალური პანდემიის შედეგად რეალიზაციის შემცირების გამო 2020-2022 წლებში კომპანიამ ნაწილობრივ უზრუნველყო ადგილობრივი ბანკისგან აღებული სესხის მომსახურება სესხის რესტრუქტურისაციის ხელშეკრულების თანახმად (საუბარია სესხის დასაფარი ძირის ნაწილზე, დარიცხული საპროცენტო სარგებელი სრულად იქნა გადახდილი შესაბამის პერიოდებში). 2022 წლის დასაწყისში კომპანიას დაუწესდა განახლებული გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებდა სესხის ყოველთვიურ გადახდას (ძირის ჩათვლით) 2023 წლიდან. აღსანიშნავია რომ 2023-2024 წლებში კომპანიამ სრულად შეასრულა ბანკის წინაშე ახალი გრაფიკით აღებული ვალდებულება.
- საბაზრო რისკი - კომპანიის პროდუქციას სრულად უკვეთავს და ყიდულობს Boeing. ამდენად, აღნიშნული რისკი პროგნოზირებადია და დამოკიდებულია მხოლოდ Boeing-ისგან მიღებულ შეკვეთებზე.
- ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკი - კომპანიაში დანერგილია ლიკვიდობის მართვის ყოველკვირეული პრაქტიკა, რაშიც ჩართულია უმაღლესი მენეჯმენტი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, აქციონერი კომპანიისგან (Elbit Systems - cyclone LTD) შეგვიძლია მოვიპოვოთ შესაბამისი ფინანსური რესურსები. ამდენად, მენეჯმენტის შეფასებით, ეს რისკი სრულად მართვადია.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

კომპანიაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით ფინანსური დეპარტამენტი დაყოფილია ორ ცალკე სტრუქტურულ ერთეულად, რომელთაგან ერთის ფუნქცია არის ბუღალტრული აღრიცხვის უზრუნველყოფა, ხოლო მეორის ფინანსური ანგარიშგება. კომპანიაში შემუშავებული პროცედურის თანახმად მეორე ერთეული ახდენს პირველი ერთეულის მიერ წარმოებული აღრიცხვის სისწორის შემოწმებას. ხოლო ფინანსური ანგარიშგებების განხილვა და დადასტურება ხდება ფინანსური დირექტორის მიერ.

ამდენად კომპანიაში დაცულია ე.წ. „ოთხი თვალის“ პრინციპი, რაც განაპირობებს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგებების მომზადების სისწორეს.

აუდიტორების პროფესიული გასამრჯელო 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის შეადგენს 28,000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს (დღგ-ს გარეშე).

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ძირითადი საქმიანობა შეადგენს სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიციური ნაწილების დამზადებას, თუმცა ვინაიდან საქართველოს ბაზარზე არ არსებობს სამოქალაქო თვითმფრინავების ან მისი ნაწილების მწარმოებელი არც ერთი საწარმო, კომპანია დამზადებული პროდუქტის 100%-ს ექსპორტის გზით ყიდის საზღვარგარეთ. ამჟამად კომპანია ამზადებს ნაწილებს Boeing 787 Dreamliner-ისთვის, შესაბამისად, აქედან გამომდინარე კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ-ფაქტორები:

რთული გლობალური ეკონომიკური პირობები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო პანდემიით (COVID-19) და დაძაბულობით ისრაელში

2020 წლის COVID-19-ის პანდემიამ გამოიწვია კომპანია Boeing მიერ წარმოების შემცირება, მათ შორის 787 Dreamliner-ის საწარმოს დახურვა სამხრეთ კაროლინაში რამდენიმე კვირით. აღნიშნულმა გამოიწვია კომპანიის შეკვეთების შემცირება. აღნიშნულის ეფექტი ასევე აისახა 2023 წლის გაყიდვებზე. ანუ ავია ბაზარს ჯერ კიდევ ჭირდება დრო რომ თავის ჩვეულ რიტმს და მოცულობას დაუბრუნდეს.

2023 წელს ასევე გამოწვევა იყო ისრაელში სამხედრო დამაბულობა მეზობელ ქვეყნებთან. თუმცა კომპანიის დამფუძნებელმა Elbit Systems - cyclone LTD-მა ისე გადააწყო თავისი ოპერაციები რომ ამ მოვლენას გავლენა არ ექონია კომპანიის საქმიანობაზე და ბიზნესის უწყვეტ ციკლზე.

ადგილობრივი სავალუტო ბაზრის არასტაბილურობა

კომპანია ნედლეულს ყიდულობს და საბოლოო პროდუქტს ყიდის საზღვარგარეთ, შესაბამისად ანგარიშსწორება ხორციელდება ძირითადად ამერიკულ დოლარში ან/და ევროში. შესაბამისად საქართველოში ლარის გაუფასურება/გამყარება იწვევს კომპანიის საოპერაციო/ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას/გაზრდას, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

10. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

სს „აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“-ს კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორაციული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორაციულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობის გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, აქციონერთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია აცხადებს მზაობას ყოველივე ზემოაღნიშნული განახორციელოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

თანასწორობა

თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა აქციონერის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად, თანასწორობის პრინციპის მოქმედება არ გულისხმობს სხვადასხვა კატეგორიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვადასხვა რაოდენობის აქციების მფლობელ აქციონერთა გათანაბრებას.

კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა

აქციონერებისათვის უზრუნველყოფილი არის შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა შეხვედრებში, დროულად მიიღონ ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, ასევე მიიღონ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.

კომპანიის მმართველ ორგანოთა ანგარიშგაღებულება, კონტროლი და გაწონასწორება

ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად კომპანიის მართვა განხორციელდება კომპანიის მმართველი ყველა ორგანოს პასუხისმგებლობის მაღალი დონით, სამეთვალყურეო და აღმასრულებელ ორგანოთა უფლებამოსილებების მკაცრი გამიჯვნითა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.

გამჭვირვალობა

უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა, რათა აქციონერებისა და პოტენციური ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

კონტროლი

უზრუნველყოფილია ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობა კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში, აქციონერთა უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვისათვის.

კომპანიის კორპორაციული მართვის ზოგადი სტრუქტურა
კომპანიის მართვის ორგანოების სისტემა მოიცავს შემდეგს:

აქციონერთა საერთო კრება - კომპანიის აქციონერებისაგან შემდგარი მმართველობის უმაღლესი ორგანოა, რომლის მეშვეობითაც აქციონერები იღებენ მონაწილეობას კომპანიის მართვაში და ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებებს.

სამეთვალყურეო საბჭო - მართვის ორგანო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობაზე, მართვასა და აღმასრულებელ ორგანოებზე, კომპანიის წესდებით დადგენილ ფარგლებში და მის საფუძველზე.

დირექტორთა საბჭო - დირექტორთა საბჭო შედგება აღმასრულებელი დირექტორისა (შემდგომში „აღმასრულებელი დირექტორი“) და ფინანსური დირექტორისაგან (შემდგომში „ფინანსური დირექტორი“). საზოგადოების წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებამოსილება ენიჭება აღმასრულებელ დირექტორს და მისი წარმომადგენლობითი/მმართველობითი უფლებამოსილება შეზღუდულია საზოგადოების წესდების შესაბამისად. დირექტორთა საბჭოს შესაძლებელია აგრეთვე ჰყავდეს ტექნიკური და სხვა სახის დირექტორები.

აქციონერების საერთო კრება - აქციონერების საერთო კრება მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ მაინც. საზოგადოების საერთო კრებაზე კვორუმი შემდგარად ითვლება თუ მას ესწრებიან საზოგადოების გამოშვებული კაპიტალის 100%-ის მფლობელი აქციონერები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. აქციონერთა საერთო კრების დეტალური უფლებები, საერთო კრების მოწვევის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების წესი განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

სამეთვალყურეო საბჭო - სამეთვალყურეო საბჭო არის მართვის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს კომპანიის საქმიანობას, განსაზღვრავს კომპანიის ბიუჯეტს და ზედამხედველობას ახორციელებს დირექტორთა საბჭოზე, ასევე იღებს გადაწყვეტილებას მათ დანიშვნაზე/განთავისუფლებაზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სათანადო კვალიფიკაციის მქონე 6 (ექვსი) წევრისგან და თითოეული წევრი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და ვიცე თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს კრებები იმართება სულ მცირე კვარტალში ერთხელ საზოგადოების რეგისტრირებულ მისამართზე. სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე კვორუმი შემდგარად ითვლება თუ მასზე წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს 4 (ოთხი) წევრი, იმის გათვალისწინებით, რომ კრებას ესწრება თითოეული აქციონერის მიერ არჩეული სულ მცირე ერთი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს დეტალური უფლებები/ვალდებულებები, სამეთვალყურეო საბჭოს მოწვევის პროცედურა და გადაწყვეტილების მიღების წესი განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ ჩვენი კომპანიის მიერ არ გამოიყენება დივერსიფიცირებული (ასაკის, სქესის, კვალიფიკაციისა და სხვა) პოლიტიკა.



მიხეილ ბეგიაშვილი

ფინანსური დირექტორი

10 ნოემბერი, 2025 წელი